



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

საჩუქრუდებელი წერილი

სსიპ – ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

სსიპ - ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ განხორციელებული „ოჯახში ძალადობის შემცირების პროექტის“ 2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 ივლისამდე პერიოდის დამოუკიდებელი ფინანსური აუდიტი.

25 თებერვალი, 2020 წელი

სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა 2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 ივლისამდე პერიოდისთვის ფონდის ანგარიშვალდებულების დოკუმენტის ფინანსური აუდიტი.

აუდიტის მიზანი მოიცავდა შემდეგს:

- მოსაზრების გამოხატვას იმის შესახებ, რომ ანგარიშვალდებულების დოკუმენტი USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში წარმოდგენილია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მიღებულია შემოსავლები, განუვლია ხარჯი USAID-ის მიერ დაფინანსებული თანხებით, აუდიტის შესამოწმებელ პერიოდში, შეთანხმების პირობების და 1, 2 და 3 ახსნა-განმარტებით შენიშვნებში ასახული აღრიცხვის პოლიტიკის შესაბამისად;
- ფონდის მიერ განხორციელებულ პროექტთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სისტემის შეფასებას. კონტროლის რისკის შეფასებას და მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების დადგენას არსებითი სისუსტეების ჩათვლით;
- ტესტების ჩატარებას იმის დასადგენად, თუ რამდენად შეესაბამება პროექტის ფარგლებში ფონდის მიერ განხორციელებული საქმიანობა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შეთანხმების პირობებს და შესაბამის კანონებსა და რეგულაციებს.

აუდიტი წარვმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად და გავეცით არამოდიფიცირებული მოსაზრება ფონდის ანგარიშვალდებულების დოკუმენტზე, რომ იგი მომზადებულია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეთანხმების პირობებისა და 1, 2, 3 ახსნა-განმარტებითი შენიშვნების შესაბამისად, რომელიც წარმოდგენილია ანგარიშვალდებულების დოკუმენტში.

შევაფასეთ პროექტის ფარგლებში არსებული შიდა კონტროლის მექანიზმები და ჩავატარეთ ტესტები იმის დასადგენად, პროექტის ფარგლებში ფონდის საქმიანობა შეესაბამება თუ არა ყველა მატერიალური თვალსაზრისით – შეთანხმების პირობებს, მოქმედ კანონებსა და რეგულაციებს.

წარმოგიდგინებ ანგარიშს, რომელიც შეიცავს ჩვენს რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება აუდიტის შედეგად გამოვლენილი შიდა კონტროლის სისტემის ნაკლოვანებების გაუმჯობესება და გარკვეული პროცედურებისა და რეგულაციების უკეთესად დაცვა. საკითხები, რომლებსაც ჩვენი რეკომენდაციები ეხება, გამოვლინდა სტანდარტული აუდიტორული პროცედურების შედეგად, რომლებიც, პირველ რიგში, იმისთვისაა განკუთვნილი, რომ შევძლოთ მოსაზრების გამოთქმა ფონდის ანგარიშვალდებულების დოკუმენტის შესახებ. შესაბამისად, ჩვენი რეკომენდაციები არ მოიცავს ყველა საკითხს, რომელთა გამოვლენა შესაძლებელი იქნებოდა შიდა კონტროლის სისტემებისა და შესაბამისობის უფრო ფართო, სპეციალური შემოწმების შედეგად.

წარმოდგენილ რეკომენდაციებში გამოკვეთილია სფეროები, სადაც მენეჯმენტმა შესაძლოა გააუმჯობესოს შიდა კონტროლის სისტემა და შესაბამისობა მოქმედ რეგულაციებთან.



შიდა კონტროლის სისტემა

რეკომენდაცია №1 შიდა კონტროლის განხორციელების ნაკლოვანებებთან დაკავშირებით:

შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის მიზანშეწონილია, გაიწეროს შიდა კონტროლის პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტი.

რეკომენდაცია №2 შედეგების შეფასების ნაკლოვანებებთან დაკავშირებით:

შედეგების ეფექტიანი შეფასებისათვის მიზანშეწონილია, რომ სწორად განისაზღვროს მიზნები და გაიწეროს შესაბამისი შეფასების ინდიკატორები, რომლებიც, თავის მხრივ, უნდა იყოს, სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, რელევანტური და დროში განწერილი.

შესაბამისობა

რეკომენდაცია №3 შრომით ხელშეწყობასთან დაკავშირებით:

შრომითი ხელშეწყობის პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, ფონდმა შეიმუშაოს უცხოურ ვალუტაში გადახდასთან დაკავშირებული პოლიტიკა.

რეკომენდაცია №4 სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა-განხორციელებასთან დაკავშირებით:

შესყიდვების პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით:

- ჩატარდეს რელევანტური ბაზრის კვლევა ყველა შესყიდვისთვის;
- ტენდერის გამოცხადებისას შეირჩეს ყველაზე შესაფერისი CPV კოდი, შესასყიდი ობიექტიდან გამომდინარე;
- განისაზღვროს რელევანტური საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფს კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას, ასევე ბალანსის შენარჩუნებას ფასსა და მიწოდებული საქონლის/მომსახურების ხარისხს შორის.

